



№ 01/02-45

22 ნოემბერი, 2011 წელი

საჯარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

განცხადება

როგორც ცნობილია, 2011 წლის სექტემბრის ზოლოს დაიწყო ქ. თეთრიწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ამასთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, რამაზ ნიკოლაიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერის“ სიუჟეტში (29.11.11, 15 სთ) განაცხადა, რომ მთლიანად იცვლება ქ. თეთრიწყაროს შიდა ქსელი და გვაქვს იმისი გარანტია, რომ უკვე მარტში თეთრიწყაროელებს ყოველდღიური წყალმომარაგება გვექნება, ამის გარდა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ თავის ვებ-გვერდზე გამოქვეყნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციას 15 ქუჩაზე და ორი სათავე ნაგებობის მოწყობას¹, რაც თავის მხრივ, არ ემთხვევა სატენდერო განცხადებაში მოყვანილ დაგეგმილ სამუშაოთა ჩამონათვალს.

გთხოვთ გვაცნობოთ:

1. ქალაქის რომელ ქუჩაზე იცვლება სასმელი წყლის მაგისტრალი;
2. რა კრიტერიუმით და ვინ (რომელმა უწყებამ) შერჩია სარეაბილიტაციო ქუჩების ჩამონათვალი?
3. კონკრეტულად რა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი ამ პროექტის ფარგლებში სათავე ნაგებობებზე და რომელ მათგანზე;
4. სარეაბილიტაციო პროექტი გახდება თუ არა ქ. თეთრიწყაროში წყალზე ხელმისაწვდომობის (ფასი, უწყვეტობა, ხარისხი) გარანტი;
5. რა ვადებში უნდა შესრულდეს ქ. თეთრიწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

გულიკო შიშიტაშვილი
თავმჯდომარე

¹ <http://water.gov.ge/geo/>